# სოციალური საბაზრო მეურნეობის მოდელი და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გერმანიის „ეკონომიკური სასწაული“

მერაბ კაკულია

ტერმინი სოციალური საბაზრო მეურნეობა (გერმ. Soziale Marktwirtschaft) პირველად გერმანელმა ეკონომისტმა ალფრედ მიულერ-არმაკმა (1900-1978) გამოიყენა 1946 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ეკონომიკის მართვა და საბაზრო ეკონომიკა“. ამ ცნებაში იგი გულისხმობდა ისეთ ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც ოპტიმალურად იქნებოდა შეწყობილი „საბაზრო თავისუფლება“ და „სოციალური გათანასწორება“. პირველი ნიშნავდა, რომ ცალკეული ინდივიდები ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ საკუთარი პასუხისმგებლობით, სახელმწიფოსა და ბიუროკრატიისგან დამოუკიდებლად, ხოლო მეორე – შესაძლებლობათა სამართლიანობის და მოქალაქეთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას.

სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს გერმანელი ეკონომისტის ვალტერ ოიკენის (1891-1950), იურისტ ფრანც ბიომის (1895-1977) და მათი მიმდევრების მიერ გასული საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში ფრაიბურგის უნივერსიტეტში შემუშავებული ე.წ. ორდოლიბერალიზმის დოქტრინა, რომლის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ თითოეული ინდივიდის თავისუფლებასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ სამეურნეო წესრიგს შეუძლია შეზღუდული სიკეთეებით საზოგადოების ეფექტიანი უზრუნველყოფა და საყოველთაო კეთილდღეობის განუხრელი ზრდა. ამისათვის აუცილებელია არა ზნეობრივი ზეადამიანები, არამედ მდგრადი სამართლებრივი (ინსტიტუციური) გარემო, რომელიც არეგულირებს ინდივიდების ეკონომიკურ საქმიანობას ისე, რომ მათი კერძო ინტერესების განხორციელების შედეგად, საბოლოო ჯამში, მოგებული რჩება მთელი საზოგადოება. ამგვარი წესრიგი მომართულია უზრუნველყოს საწარმოთა (ფირმების) და შინამეურნეობათა (ოჯახების) ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება და იმავდროულად არ დაუშვას საბაზრო ძალაუფლების გადაჭარბებული კონცენტრაცია მონოპოლიური წარმონაქმნების სახით.

ორდოლიბერალიზმი უარყოფს ტრადიციული ლიბერალიზმის დოგმას იმის შესახებ, რომ საბაზრო მეურნეობა თავისთავად ვითარდება თავისუფალი კონკურენციის პირობებში. ამის საწინააღმდეგოდ ფრაიბურგის სკოლის წარმომადგენლებს მოჰყავთ გერმანიის გამოცდილება ორ მსოფლიო ომს შორის




ალფრედ მიულერ-არმაკი
(1901-1978)



ფრანც ბიომი (1895-1977)

პერიოდში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა ქაოსმა მოიცვა, მკვეთრად გაძლიერდა კომპანიების გამსხვილების პროცესი და საბაზრო ძალაუფლება, ფართოდ გავრცელდა ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული კარტელური გარიგებები. ამ ფონზე ორდოლიბერალები ემხრობოდნენ ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც გასაქანს არ მისცემდა კონკურენციის შეზღუდვის ნებისმიერ მცდელობას. სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს ორდოლიბერალები ფირმებისა და შინამეურნეობებისათვის თანაბარი პირობების შექმნაში ხედავდნენ და არა – მათ სამეურნეო საქმიანობაში მასშტაბურ და ხშირ ჩარევაში. ცხადია, ფრაიბურგის სკოლის იდეებს განხორციელება არ ეწერა, რადგან ხელისუფლების სათავეში გერმანიაში ამ დროს ადოლფ ჰიტლერი და მისი ნაციონალ-სოციალისტური პარტია იყო, რომლის ეკონომიკური დოქტრინა სრულიად საწინააღმდეგო საფუძვლებს ეყრდნობოდა. მხოლოდ II მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხებისა და ნაციონალურ-სოციალისტური ხელისუფლების დამხობის შემდეგ გახდა შესაძლებელი ორდოლიბერალური მსოფლმხედველობის პრაქტიკაში გამოყენება, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა ლუდვიგ ერჰარდმა (1897-1977) – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა (1949-1963) და ვიცე-კანცლერმა (1957-1963), მოგვიანებით კი – ფედერალურმა კანცლერმა (1963-1966).



ვალტერ ოიკენი
(1891-1950)

ლუდვიგ ერჰარდის, როგორც პოლიტიკოსის და ეკონომისტის მრწამსი ნათლად ჩანს მისი სიტყვებიდან:

ლუდვიგ ერჰარდი (1897-1977)

„იდეალი, რომელიც მე მესახება, ემყარება იმას, რომ ადამიანს შეეძლოს თქვას – მე მაქვს საკმარისი ძალა, რომ თავს მივხედო, მე მინდა თავად გავრისკო ცხოვრებაში, მინდა ვიყო პასუხისმგებელი საკუთარ ბედზე. შენ, სახელმწიფოვ, ნუ იზრუნებ ჩემს საქმეზე, მაგრამ მომანიჭე იმდენი თავისუფლება და დამიტოვე ჩემი შრომის იმდენი შედეგი, რომ თვითონ, ჩემი შეხედულებისამებრ, უზრუნველვყო ჩემი არსებობა, საკუთარი და ჩემი ოჯახის ბედი“.

1948 წლის 2 მარტს ლუდვიგ ერჰარდმა წარადგინა თავისუფლებასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამა, რომელიც შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს ეყრდნობოდა:

– კერძო საკუთრება განიხილება, როგორც პირადი თავისუფლებისა და საბაზრო სისტემის ფუნქციონირების წანამძღვარი;

– სრული პასუხისმგებლობა, რაც ხელს უშლის მესაკუთრეების მიერ რისკების და საბაზრო ურთიერთობათა პირობებში დაშვებული შეცდომების შედეგების სხვებისთვის დაკისრებას;

– ფასწარმოქმნის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც არ ექვემდებარება სახელმწიფოს გავლენას;

– დამოუკიდებელი ცენტრალური/ეროვნული ბანკის (ბუნდესბანკი) მიერ ფულის მსყიდველობითი უნარის სტაბილურობაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება, რომელიც წინ აღუდგება ინფლაციის ან დეფლაციის შედეგად საბაზრო ფასების დამახინჯებას;

– ბაზრების გახსნილობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს როგორც გერმანული, ისე უცხოური კომპანიებისთვის ბაზრის თავისუფალ წვდომას;

– მონოპოლიების კონტროლი, ანუ ღონისძიებათა გატარება მონოპოლიების წარმოქმნის წინააღმდეგ;

– ხელშეკრულებების დადების თავისუფლება, როგორც თავისუფლების განხორციელების საშუალება;

– ეკონომიკური პოლიტიკის მდგრადობა, რაც დაუშვებელს ხდის მოქალაქეთა და ფირმების გაურკვევლობის ზრდას სწრაფად ცვალებადი გადაწყვეტილებების გავლენით;

– წარმოების დანახარჯებზე გარეშე გავლენის კორექცია, ანუ სახელმწიფოს ჩარევა იმ შემთხვევაში, როდესაც საბაზრო მექანიზმი, პასუხისმგებლობის პრინციპის გათვალისწინებით, ვერ უზრუნველყოფს იმ ინდივიდის/ფირმის დანახარჯების სრულყოფილად აღრიცხვას, რომელთა საქმიანობამაც საზოგადოებას ზიანი მიაყენა (მაგალითად, ეკოლოგიურად სუფთა წარმოების უზრუნველყოფის დანახარჯები);

– შემოსავლების პოლიტიკის გატარება მათი განაწილების კორექტირების მიზნით (მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც აქტიური მცდელობის მიუხედავად, ინდივიდი ბაზარზე ვერ გამოდის ან როცა შემოსავლებს შორის გაჩენილია დიდი სხვაობა, დაკავშირებული ისეთ საქმიანობასთან, რომელსაც საზოგადოების წევრთა უმეტესობა განიხილავს, როგორც პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპების დარღვევას).

II მსოფლიო ომის შემდგომი გერმანია

სოციალური საბაზრო მეურნეობის საკვანძო პრინციპები აისახა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (გფრ) კონსტიტუციაში, რომელიც ძალაში შევიდა 1949 წელს. ქვეყანა ოფიციალურად გამოცხადდა სოციალურ სახელმწიფოდ.

II მსოფლიო ომის (1939-1945) დასრულებისას გერმანიის ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მთლიანი შიდა პროდუქტი, ომამდელ პერიოდთან შედარებით, 2.5-ჯერ შემცირდა, საკვების წარმოება – 50%-ით, სამრეწველო წარმოება – 33%-ით, საბინაო ფონდი – 20%-ით. ყოველი მეორე შრომისუნარიანი გერმანელი იყო უმუშევარი. გაჩნდა საქონლის კოლოსალური დეფიციტი, რამაც ხელი შეუწყო „შავი ბაზრის“ ფართოდ გავრცელებას.

ომის დროს მიმოქცევაში ფულის მასის მკვეთრი ზრდის გამო 6-ჯერ შემცირდა ეროვნული ვალუტის, ნაცისტური რეიხსმარკის, მსყიდველობითი უნარი. ნდობა მის მიმართ იმდენად დაეცა, რომ გაცვლის „საყოველთაო საშუალებად“ ამერიკული სიგარეტი გადაიქცა – „CAMEL“-ის ერთი კოლოფით შეიძლებოდა 1 ფუნტი (453.6 გრამი) კარაქის შეძენა, ამავე სიგარეტის ერთი ბლოკი (10 კოლოფი) ერთ წყვილ ფეხსაცმელში იცვლებოდა, ხოლო 300 ბლოკი – ავტომობილ ფოლკსვაგენში.

ასეთ ვითარებაში დასავლეთ გერმანიის (მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიაში ანტიჰიტლერული კოალიციის წევრების – აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საოკუპაციო ზონა) დროებითმა ეკონომიკურმა ადმინისტრაციამ, ლუდვიგ ერჰარდის ხელმძღვანელობით, პირველ რიგში, ფულის რეფორმის ჩატარება გადაწყვიტა (1948 წლის 20 ივნისი). თითოეულ გერმანელს უფლება მიეცა 60 გაუფასურებული რეიხსმარკა ახალ დოიჩმარკაში გადაეცვალა, კურსით 1:1. ამავე თანაფარდობით იცვლებოდა მიმდინარე ხელფასი და პენსია. დანაზოგების ერთი ნახევარი იცვლებოდა კურსით 10:1, ხოლო მეორე – კურსით 20:1. ფირმების ფინანსური ვალდებულებები იცვლებოდა კურსით 10:1. სახელმწიფოს რეიხსმარკაში გამოხატული ყველა ფინანსური ვალდებულება გაუქმდა კომპენსაციის გარეშე. შედეგად, ფულის მასა მიმოქცევაში იმდენად შემცირდა, რომ ინფლაციის (ფასების საშუალო ზრდის) ტემპი მკვეთრად დაეცა, მიუხედავად იმისა, რომ ერჰარდმა იმავე დღეს (1948 წლის 20 ივნისი) ფასების ლიბერალიზაციის (სახელმწიფოს მხრიდან ფასების მატებაზე კონტროლის გაუქმება) გადაწყვეტილებაც მიიღო. პარალელურად, არსებითად შემცირდა გადასახადები, როგორც ინდივიდებზე, ისე კომპანიებზე. ფულმა რეალური მსყიდველობითი უნარი დაიბრუნა, ხოლო შავი ბაზარი საკმაოდ სწრაფად მიილია.

შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთი გერმანია მყისიერად გამოცოცხლდა. როგორც ერთი ამერიკელი დამკვირვებელი წერდა, „ქვეყნის სული ერთ ღამეში შეიცვალა. ნაცრისფერი, მშიერი, მკვდარი ფიგურები, რომლებიც ქუჩებში დახეტიალობდნენ საკვების მარადიულ ძიებაში, გაცოცხლდნენ“. გერმანელებს ჩვეული შრომისმოყვარეობა დაუბრუნდათ. თუ 1948 წლის პირველ ნახევარში ისინი, საშუალოდ, კვირაში თითქმის 10 სამუშაო საათს აცდენდნენ, ნაკლებად მსყიდველუნარიანი ანაზღაურების და შავ ბაზარზე საკვების ძიების აუცილებლობის გამო, ამავე წლის ოქტომბერში ეს მაჩვენებელი 4 საათამდე დავიდა. უკვე 1948 წლის ბოლოსთვის გერმანიის სამრეწველო წარმოებამ 1936 წლის დონის 78 % შეადგინა.

სწრაფი ეკონომიკური ზრდა შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. 1950 წლისთვის სამრეწველო წარმოების მოცულობამ გფრ-ში ომამდელ დონეს მიაღწია, 1956 წელს – გაორმაგდა, ხოლო 1962 წელს – გასამმაგდა. 1950-იანი წლების შუა

**რიგი ბანკთან ფულის რეფორმის ჩატარების შემდეგ, 1948 წლის 20 ივნისი**

ხანებისთვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ მესამე ადგილზე გავიდა.

სამრეწველო წარმოების არნახული ზრდა მნიშვნელოვანწილად განაპირობა სახელმწიფოს ინდუსტრიულმა პოლიტიკამ, რომელიც მიზნად ისახავდა კონკურენტული პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობას ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე. საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებით გფრ-ის მთავრობა ცდილობდა დასუსტებული გერმანული კომპანიების საინვესტიციო აქტიურობის წახალისებას; მეორე მხრივ, ბიუჯეტიდან მნიშვნელოვან თანხებს გამოყოფდა კერძო ფირმების მიერ წარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების დაკრედიტებისათვის. ამის საშუალებას ფედერაციულ გერმანიას თავდაცვის მცირე ხარჯები აძლევდა: პოტსდამის ხელშეკრულების თანახმად (1945 წელი), მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ ქვეყანას თავდაცვის საჭიროებათათვის ბიუჯეტის ხარჯების მხოლოდ 4-5%-ის გაღება შეეძლო. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთობ მოკრძალებული იყო ომის შემდგომი გფრ-ის სახელმწიფო მმართველობის (ბიუროკრატიის) ხარჯები. მთლიანობაში, დაზოგილი თანხები ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის (გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, წყალმომარაგების და სხვა ობიექტების) აღდგენისათვის გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა.

გფრ-ის მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა ნაცისტური გერმანიის სამხედრო მრეწველობის სამოქალაქო რელსებზე გადაყვანა – კონვერსია და ექსპორტზე ორიენტირება. სწორედ სამხედრო პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებში და მათთან დაკავშირებულ კომპანიებში იყო თავმოყრილი მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მუშათა კლასი, რაც მომავალში სამოქალაქო დანიშნულების კონკურენტული პროდუქციის გამოშვების საწინდარი იყო. თავდაპირველად აქტიურად გამოიყენებოდა უცხოური პატენტები და ლიცენზიები, განსაკუთრებით, ამერიკული, თუმცა მოგვიანებით გფრ-ის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი იმდენად გაძლიერდა, რომ გერმანულმა კომპანიებმა დაიწყეს საკუთარი ინოვაციური პროდუქციის გამოშვება. 1956 წელს, ომამდელ 1936 წელთან შედარებით, მანქანათმშენებლობის წარმოება თითქმის სამჯერ, ავტომობილების (მერსედეს-ბენცი, ფოლკსვაგენი და სხვა) წარმოება – 4-ჯერ, ელექტროტექნიკური მრეწველობის, მათ შორის საყოფაცხოვრებო ტექნიკის (ტელევიზორები, მაცივრები, სარეცხი მანქანები და სხვა) წარმოება კი თითქმის 6-ჯერ გაიზარდა.

დაჩქარებულ ინდუსტრიულ განვითარებას მოჰყვა წარმოების კონცენტრაცია მსხვილ გერმანულ კომპანიებში, რომელთა საბაზრო ძალაუფლების გაძლიერება ეწინააღმდეგებოდა სოციალური საბაზრო მეურნეობის ძირითად პრინციპებს. ლუდვიგ ერჰარდს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ ბუნდესტაგს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტი) 1957 წელს მიეღო კანონი კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ. მართალია, ეს დოკუმენტი მსხვილი კაპიტალის ინტერესების დამც-

**უინსტონ ჩერჩილი, ჰარი ტრუმენი და იოსებ სტალინი პოტსდამის კონფერენციაზე**

ველ პოლიტიკოსებთან მიღწეული კომპრომისის შედეგი იყო, მაგრამ მან მაინც დიდი როლი შეასრულა ეკონომიკის დემონოპოლიზაციასა და წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებაში.

მრეწველობის მაღალტექნოლოგიურ დარგებთან ერთად, ომის შემდგომ პერიოდში სწრაფად იზრდებოდა გფრ-ის მსუბუქი და კვების მრეწველობაც, რასაც, ეკონომიკის მილიტარიზაციის გამო, ნაცისტური გერმანიის ხელისუფლება შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. მზარდი სამომხმარებლო მოთხოვნის ფონზე საფეიქრო და საკვები პროდუქტების წარმოების მოცულობა 1956 წელს, 1936 წელთან შედარებით, გაორმაგდა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, მრეწველობის აღმავლობასთან ერთად, 1950-იანი წლების დასაწყისისთვის მან მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს, 1956 წლისთვის კი გაორმაგდა.

დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის კვალობაზე განუხრელად მცირდებოდა უმუშევრობა და იზრდებოდა მოსახლეობის ფულადი შემოსავლები. კეთილდღეობის ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ლუდვიგ ერჰარდი ეფექტიანი საპენსიო სისტემის შექმნას მიიჩნევდა. ამისათვის აუცილებელი იყო, რომ მოქალაქეებს შრომის ღირსეული ანაზღაურება მიეღოთ, რათა საკმარისი საპენსიო დანაზოგები შეექმნათ, რომელიც საპენსიო ასაკის დადგომამდე გერმანული კერძო ბიზნესის დაფინანსების წყაროდ უნდა გადაქცეულიყო. ეს კი, თავის მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ახალი საპენსიო დანაზოგების დაგროვებას შეუწყობდა ხელს. ახალი კანონმდებლობით უზრუნველყოფილ იქნა ფირმებში ხელფასის ფონდის ზრდა, წარმოების ზრდის შესაბამისად. ამავე დროს, დამკვიდრდა კომპანიების მოგებაში მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის სისტემა; კერძოდ, კომპანიები უშვებდნენ ე.წ. სახალხო აქციებს, რომელთაც მათი პერსონალი სიამოვნებით ყიდულობდა.

გარდა ამისა, ფედერალურმა მთავრობამ მხარი დაუჭირა პროფკავშირების ინიციატივით შემუშავებულ კანონს (1951 წელი) კერძო ფირმების მართვაში მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის შესახებ. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ხუთ წევრს მსხვილი აქციონერები ირჩევდნენ, ხუთს კი – მუშები. მეთერთმეტე წევრს ირჩევდა სამეთვალყურეო საბჭოს ათი წევრი.

ამავე დროს დასავლეთ გერმანიაში ფართო ფრონტით გაიშალა საბინაო მშენებლობა, რომლის დაფინანსება ხდებოდა როგორც კერძო შენატანების, ისე სახელმწიფოს ინვესტიციების ხარჯზე. ახალი ბინების ნახევარი განეკუთვნებოდა ე.წ. სოციალური საცხოვრისის კატეგორიას, რომლის შეთავაზება ხდებოდა ხელმისაწვდომი ფასებით. ლუდვიგ ერჰარდი ამბობდა, რომ მოსახლეობა მხოლოდ მაშინ იგრძნობს მომავლის იმედს, როდესაც შეიძენს საკუთრებას. 1952-1962 წლებში ბინათმშენებლობით მოსახლეობის ერთ სულზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა.

გერმანიის ფედერალური მთავრობის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ, რომელიც სოციალური საბაზრო მეურნეობის პრინციპებს ეყრდნობოდა, ერთობ შთამბეჭდავი შედეგები გამოიღო: ქვეყნის ეკონომიკა 1950-1966 წლებში, საშუალოდ, წელიწადში 9.2 %-ით იზრდებოდა, ინფლაცია ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო ევროპაში, ხოლო უმუშევრობა – მინიმალური. გერმანიაში ჩამოყალიბდა მძლავრი და მრავალრიცხოვანი საშუალო კლასი, რომელიც ქვეყნის შემდგომი წინსვლისა და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტორად იქცა. თვით ლუდვიგ ერჰარდი მიღწეულ წარმატებას მხოლოდ მთავრობის დამსახურებად არ თვლიდა. ერთხელ მას ჰკითხეს, რას მიიჩნევდა გერმანიის ეკონომიკური სასწაულის ძირითად ფაქტორებად. ერჰარდმა მოკლედ უპასუხა: გერმანელი მეწარმეების უნარიანობას, მუშათა შრომისმოყვარეობასა და დისციპლინირებულობას და მთავრობის მოქნილ პოლიტიკას. გარდა ამისა, იგი ფიქრობდა, რომ გერმანიის წინსვლაში დიდი როლი შეასრულა ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბურმა ფინანსურმა და მატერიალურმა დახმარებამ, რომელიც ე.წ. მარშალის გეგმის ფარგლებში ხორციელდებოდა.

**მერსედეს-ბენცის ქარხანა, 1956**